ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N 11

სხდომის ჩატარების დრო:

28 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59,
აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენობის მე-2 სართულზე არსებული სამკითხველო დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეთერთმეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, გ.კილაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან 29 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, დ.ბახტაძე, ბ.ბრეგაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ერემეიშვილი, ი.უგულავა და ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ვ.გობეჯიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი ვ.სილაგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მშვიდობისა და მეგობრობის

ინტელექტუალური კლუბ ,,LLL“-ის პრეზიდენტი, პუბლიცისტი, ქუთაისში ,,ტორპედოს“ სტადიონთან „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტის ავტორი, ბატონი ბ.ადამია.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დიდი მადლობა მინდა მოვუხადო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. 2-3 სხდომის წარმოება მოგვიწევს ამ შენობაში, ვიდრე თვითმმართველობის შენობის სხდომათა დარბაზის რეაბილიტაცია მოხდება. ამ უნივერსიტეტის მზაობა ჩანს ურთიერთთანამშრომლობით, დამოკიდებულებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ე.არჩაია** (პარტია „საქართველოსათვის“): „ წინადადება მაქვს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ჩართულობით შეიქმნას სტაჟირების პროგრამა, რომლის ფარგლებში ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მესამე და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა გაიარონ სამთვიანი კურსი, არაანაზღაურებადი პროფესიული პრაქტიკა. პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს დარეგისტრირებული სტუდენტების გადანაწილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებში: შპს-ებსა და ა(ა) იპ-ებში, სტუდენტის განათლების, პროფილისა და ორგანიზაციის დარგობრივი მიმართულების გათვალისწინებით. პროგრამა უნდა განხორციელდეს ორ ნაკადად: ზამთრისა და ზაფხულის ნაკადებად. სტუდენტების გადარჩევა უნდა მოხდეს „CV“ -სა და „GPA“ -ს საშუალებით. ერთნაირი ქულების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოციალურად დაუცველი ოჯახის (ოჯახის ქულა 70 000 ქულაზე ნაკლები) წევრ სტუდენტებს. ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს უნდა დაევალოთ რესურსების შესაბამისად სამუშაო ადგილების გამოყოფა და პროგრამაში ჩართვა. დაინტერესებულმა სტუდენტებმა უნდა შეავსონ შესაბამისი ფორმა, რომელიც განთავსებული იქნება

მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე. პროგრამის დასრულების შემდეგ უნდა გაიმართოს დასკვნითი ცერემონია, სადაც პროგრამის მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები. ასევე, სასურველია, წარმატებულმა სტუდენტებმა სურვილისამებრ, შეძლონ გააგრძელონ სტაჟირება ან დასაქმდნენ ამავე უწყებაში (შესაბამისი პროცედურების დაცვით). პროგრამის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანი იქნება ქალაქისათვის და მასში მონაწილე სტუდენტებისათვის. ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ სამუშაო გამოცდილება, გადადგან ნაბიჯები კარიერაში, გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები სამუშაო გარემოში. პროგრამა წაახალისებს ახალგაზრდების ჩართულობას ქალაქის მმართველობის პროცესში. საშუალებას მისცემს მათ ახლოდან გაეცნონ მუნიციპალური უწყებების მუშაობის ნიუანსებს. პროგრამა ასევე ხელს შეუწყობს ქალაქიდან ეგრეთ წოდებული „ტვინების გადინების“ პროცესის გადაჭრას, რადგან, ქალაქში გაჩნდება განათლებისა და პროფესიული განვითარების მეტი შესაძლებლობა. ამასთან, მოხდება ადგილობრივი უწყებების გადახალისება. ახალი იდეების, ხედვებისა და გამოცდილების შეძენა. პროგრამა მნიშვნელოვანი იქნება როგორც სტუდენტებისათვის, ასევე მასში ჩართული ორგანიზაციებისათვის. სასურველია, აღნიშნული სტაჟირების პროგრამა არ იყოს ერთჯერადი, ორივე ნაკადის დასრულების შემდეგ, მოხდეს მისი სრულყოფილი შეფასება და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად პროექტს მრავალწლიანი სახე მიეცეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მოგახსენებთ, რომ საკრებულოს, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან და ქუთაისის უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც სწორედ სტაჟირების ამ პრაქტიკას ითვალისწინებს. არსებობს საშუალება სტუდენტებისათვის სხვადასხვა მუნიციპალურ სამსახურებში გაიარონ სტაჟირება, მერიის სამსახურებში, საკრებულოში, ა(ა)იპ-ებში. ჩვენ გვინდა გავაღრმავოთ ეს პროცესი. სულ ახლახან, ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულება ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან, რომელიც თავის მხრივ, თანამშრომლობს მოწყვლად ჯგუფებთან, ეთნიკურ უმცირესობებთან. მათ გაიარეს პრაქტიკა და სტაჟირება ჩვენთან, რაც თითოეულ მათგანს საშუალებას აძლევს ქართულ ენაზე იმუშაოს

დოკუმენტებზე, უფრო გამართულად განახორციელოს საკუთარი უფლება - მოვალეობები. მე ვფიქრობ, ეს მიმართულება არის მნიშვნელოვანი.

აქვე გავაჟღერებ ერთ ინფორმაციას. ქალბატონი მაგდა კოსტავა იმყოფებოდა 3 დღიანი ოფიციალური ვიზიტით ევროსაბჭოს რეგიონალურ კომიტეტში, სადაც მან წარადგინა მოხსენება. ისაუბრა ადგილობრივი თვითმმართველობის როლზე ევრო ინტეგრირების მიმართულებით. მე მინდა, მას მადლობა გადავუხადოთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი მონაწილეობა ამ მიმართულებით და მინდა წარმატება ვუსურვო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „სასიხარულოა ქალბატონო ელეონორა, რომ ჩვენი აზრები ამ შემთხვევაში ერთმანეთს დაემთხვა. საჯარო სამსახურის ბიუროს, უკვე რამდენიმე წელია აქვს სტაჟირების პროგრამა. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ეს პერიოდი ითვლება ოფიციალური შრომის სტაჟად. საჯარო სამსახურის ბიუროს აქვს ამ მიმართულებით კონკურსის გამოცხადების თავისი წესი. მუნიციპალიტეტებს წინასწარ ეგზავნება ადგილები. ჩვენ, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას გვაქვს 5 ადგილი. მე ვიცი, რომ აღმასრულებელ ორგანოსაც აქვს სხვადასხვა ადგილები, ადგილების რაოდენობა არ ვიცი. ეს მიმდინარე კონკურსია და ორ ეტაპად ხორციელდება, შემოდგომასა და გაზაფხულზე. როგორც გითხარით, იურიდიულ საკითხთა კომისიას აქვს 5 ადგილი. ეს ბევრია, თუნდაც იმ პატარა სამუშაო ოთახისათვის, მაგრამ სიამოვნებით მივიღებთ იმდენ სტაჟიორს, რამდენი მსურველიც იქნება. სტაჟირების გარეშე, მსურველებს მივიღებთ არაოფიციალურადაც, თუ არის სტუდენტი, რომელსაც სურს სტაჟირება გაიაროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ კომისიაში, ჩვენ მზად ვართ, ველით და დაუნანებლად გავუზიარებთ ცოდნასა და გამოცდილებას. არ აქვს მნიშვნელობა სქესს, ფერს, მრწამსს, რელიგიასა და პოლიტიკურ შეხედულებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე ვთხოვ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას, მსგავსი

ტიპის ინფორმაცია განვათავსოთ საკრებულოს ვებ გვერდზე. დიდი მადლობა ქალბატონო ელეონორა კიდევ ერთხელ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე**: „მივესალმები ქალბატონი ელეონორას ინიციატივას. მართლაც სწორად დაყენებული საკითხია. 2016 წელს, როდესაც საკრებულოში ჯანდაცვის კომისიას ვხელმძღვანელობდი, გავაფორმეთ მემორანდუმი წერეთლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტსა და ქალაქის სასწრაფო დახმარებას შორის მე-3 კურსის ზემოთ სტუდენტებისათვის. მართლაც კარგი საქმე იყო, რომელიც დაიწყო, თუმცა, ცოტა ხანში შეწყდა. ეს სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს დაეხმარება ადრე გამოუმუშავდეს ექიმის უნარ-ჩვევები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მადლობთ ბატონო თემურ. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება შუამდგომლობის მომზადება. ქუთაისს საკმაოდ მძლავრი სამედიცინო ფაკულტეტები აქვს. ვფიქრობ, ეს საკითხი იქნება მნიშვნელოვანი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.კოსტავა** (პარტია „ქართული ოცნება“): „მოგესალმებით მეგობრებო. მინდა გაგიზიაროთ ინფორმაცია განვლილი 3 დღის შესახებ. მაისის თვეში, საქართველო პირველად წარდგა ევროპის რეგიონის მუნიციპალიტეტების საბჭოზე. საბჭო 71 წელზე მეტია მუშაობს ევროპის მუნიციპალიტეტებთან. ძალიან მძლავრი და გავლენიანი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 20 ქვეყნიდან 60 წევრ ორგანიზაციას. წელს პირველად ვიყავით წარდგენილები საქართველოდან ახალგაზრდა ლიდერ პოლიტიკოსთა საბჭოში, რამაც საშუალება მოგვცა საერთაშორისო დონეზე წარგვედგინა ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტები და გაგვეზიარებინა ევროპის ქვეყნების გამოცდილებები. „სიემარის“ რეგიონის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა 26-27 სექტემბერს. შეხვედრა მოიცავდა სხვადასხვა აქტივობებს. მე მომეცა შესაძლებლობა ევროპარლამენტში წარმედგინა ჩვენი ქალაქი, ჩვენი გამოცდილება და ადგილობრივ დონეზე გამოწვევები. გარდა ამისა, ევროპარლამენტის კვლევითი ორგანიზაცია და ევროპარლამენტი ამ კვლევებზე

დაყრდნობით ახორციელებს პოლიტიკისა და სტრატეგიის დადგენას, მათთან ერთად განვიხილეთ კვლევის შედეგები. ასევე, გვქონდა შესაძლებლობა გვესაუბრა, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის ევროკავშირის წევრობა. მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრი სამუშაო არის განხორციელებული იმისათვის, რომ კანდიდატის სტატუსი მივიღოთ. ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა იმისათვის, რომ საქართველომ და მათ შორის, ქუთაისმა წარადგინოს მნიშვნელოვანი საკითხები და მიიღოს სერიოზული პერსპექტივები. „სიემარის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მომავალი შეხვედრა შედგეს საქართველოში. ეს იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტი. ძალიან დიდი მადლობა ქუთაისის საკრებულოსა და საქართველოს თვითმმართველობათა ასოციაციას მხარდაჭერისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვუერთდები მადლიერებას. ალბათ, ერთ - ერთი პლატფორმაა ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაცია, სადაც ოპოზიციური სპექტრი არის წარმოდგენილი. ეს მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მოგესალმებით. ჩვენ თვეში ერთხელ გვეძლევა საშუალება, რომ შევიკრიბოთ და ვიმსჯელოთ მნიშვნელოვან საკითხებზე. კარგია ეს ღონისძიებები, მაგრამ მე შემოვდივარ ინიციატივით, ქალაქში არის გადათხრილი ქუჩები, მოუწესრიგებელი გზები. წინადადებით შემოვდივარ, თვიდან თვემდე მოვიწვიოთ ამ დარბაზში ინფრასტრუქტურის, ზედამხედველობისა და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები და მოვისმინოთ პასუხი, რა გვიშლის ხელს პრობლემების მოგვარებაში. ასევე წარმოგვიდგენენ ინფორმაციას, რა გააკეთეს, როგორ გააკეთეს, რა ვერ გააკეთეს, რამ შეუშალათ ხელი? ეს არის საკრებულო, რომელმაც უნდა აკონტროლოს სად იხარჯება და რამდენად ყაირათიანად იხარჯება თანხა. მინდა კენჭისყრაზე დააყენოთ ეს საკითხი. სასურველი იქნებოდა აქ ყოფილიყო ქალაქის მერი. სასურველია, ყოველ საკრებულოს სხდომაზე წარმოგვიდგინონ, თუ რა გააკეთეს ერთი თვის განმავლობაში, სად არის გარღვევა, სად არის წარმატება? ნურავინ იფიქრებს, რომ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს არ გაუხარდებათ ქვეყნის წარმატება. საღებავი

არ არის, რომ ღერძულა ხაზი გამოჩნდეს ან ზებრა გადასასვლელი შეიღებოს? ან ნაგავი, რომ გაიტანონ. კარგია, რომ იყავით საერთაშორისო სემინარზე, მაგრამ იმაზე ვისაუბროთ, ჭერიდან რომ წყალი ჩამოდის ქალს, პრობლემის მოსაგვარებლად 1 წელიწადი, რომ დამჭირდა და 5 სამსახურის უფროსთან საუბარი. ვინ არის მომხრე, რომ სამსახურის უფროსებმა წარმოადგინონ ანგარიში, რას მუშაობენ მთელი თვის განმავლობაში?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ სარგებლობთ დეპუტატის უფლებამოსილებით, რომელიც გაძლევთ საშუალებას, ნებისმიერი კითხვა წარადგინოთ შესაბამისი რეგლამენტის დაცვით. თქვენ სრული უფლება გაქვთ სადეპუტატო შეკითხვით მიმართოთ ნებისმიერ სამსახურს, სამსახურის ხელმძღვანელს. ყოველთვიურად კი არა, ყოველდღეც შეგიძლიათ ეს გააკეთოთ. თქვენ გაქვთ დეპუტატის უფლებამოსილება მიმართოთ ფრაქციას და ფრაქციის ფორმატში დაიბაროთ ნებისმიერი თანამდებობის პირი. ეს შეხვედრა შეგიძლიათ გახადოთ საჯარო და საინტერესო მოქალაქეებისათვის. რაც შეეხება დღის წესრიგს, ის დგება ბიუროს შესაბამისი გადაწყვეტილებით. ანგარიშს რაც შეეხება, თუ რას აკეთებს კონკრეტული სამსახური, შეგიძლიათ შეკითხვა დაუსვათ მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებს და ამის შესახებაც მიიღოთ ინფორმაცია. ამ ყველაფერს აქვს შესაბამისი რეგლამენტი, წესი და ნორმა. შესაბამისად, დღის წესრიგს ვერ შევცვლით ასეთი ფორმით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ნახევარი საათი, რომ დაგვითმონ და მოვუსმინოთ ხომ შეიძლება. ჩვენ რომ არ ვირბინოთ სამსახურიდან სამსახურში. მე გთავაზობთ საქმეს და თქვენ მთავაზობთ კაბინეტიდან კაბინეტში სიარულს. მივლინებები ძალიან კარგია, მაგრამ ჯერ საქმეს მიხედეთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კომისიის მუშაობაში უნდა მიიღოთ მონაწილეობა და არ უნდა გააცდინოთ კომისიის სხდომები, როდესაც სამსახურის უფროსები მოხსენებებს აკეთებენ მათ მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „რამდენი გაქვთ ხელფასი ბატონო ირაკლი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „5 050 ლარი. დეკლარირებულია ჩემი ხელფასი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „და ჩემი ხელფასია 600 ლარი. ჩემსა და თქვენ ხელფასს შორის ხომ არის სხვაობა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვის აინტერესებს ჩვენი ხელფასები ქალბატონო ანა? თქვენ აგირჩიათ ხალხმა და ეს ნდობა უნდა გაამართლოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენ ყოფილხართ ჩემს სამაჟორიტარო უბანში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ ორი დღის წინ ვიყავი ნიკეას ქუჩის N38-ში. შემიძლია შეხვედრის ამსახველი მასალა მოგაწოდოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რა გააკეთეთ მერე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გეტყვით რა გავაკეთე. ამ ერთი შეხვედრის შედეგად კონკრეტულად ამ კორპუსს მოვუგვარეთ ლიფტის პრობლემა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონი თემურ ნადირაძის ამომრჩეველი მე მომადგა დასახმარებლად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „გადმოგემისამართებინათ ჩემსკენ ქალბატონო ანა. კოლეგიალობა ეს არის და არა საკრებულოს სხდომაზე განცხადებების გაკეთება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ევროპაში, რომ იყავით წასული ქალბატონო მაგდა, რით მოიწონეთ თავი?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.კოტავა** (პარტია „ქართული ოცნება“)**:** „თქვენი და თქვენი პროფესიისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მინდა გითხრათ, რომ მეც ანაზღაურების გარეშე ვასრულებ იმ საქმეს, რასაც თქვენ აკეთებთ. ეს ჩვენი არჩევანია და ამისათვის მადლობას არავისგან არ ველოდებით. ყველაფერს აქვს თავისი სტრუქტურა, წესი, ფორმა. მათ შორის არსებობს საკრებულოს სხდომაზე საკითხის დაყენების წესი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „მე დავალება მაქვს რუსთაველის გამზირის N85 -ის მცხოვრებთაგან, რომელთაც შეუკეთდათ საცხოვრებელი სახლის ფასადი. მთხოვეს, მადლობა გადმომეცა. მადლიერება მათ სოციალური ქსელითაც გამოხატეს. ასევე ტრანსპორტის საკითხებთან დაკავშირებით გვაქვს შეკითხვები, ამ თემაზე ვისაუბრეთ კომისიის სხდომაზე. მოვიწვევთ კომპეტენტურ პირებს კომისიის სხდომებზე და ვისაუბრებთ ამ დაგროვილ საკითხებზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „მინდა გავაკეთო განცხადება. საკითხი შეეხება ფალიაშვილის ქუჩას, რომელიც დასრულდა. როგორ დასრულდა ეს სამუშაოები, ეს ცალკე საკითხავია. მცირე ნალექმაც კი გაუვალი გახადა ეს ქუჩა. თუმცა, ფალიაშვილის ქუჩის ერთი ნაწილი კარგადაა გაკეთებული და განათებულია კომუნისტური ვარსკვლავი. მეორე საკითხი ეხება ასათიანის ქუჩაზე მდებარე ეგრეთ წოდებულ „მარაკანას სტადიონს“, გამოცხადდა ტენდერი, მოიტანეს მესერი და ახლა მოსახლეობა ყარაულობს, რომ ეს მესერი ვინმემ არ მოიპაროს, ვინაიდან, სტადიონზე მუშაობა არ

დასრულებულა. მაინტერესებს ეს კომპანია დაჯარიმდა თუ არა? ასევე მაინტერესებს ინფორმაცია მივიღო ცენტრალურ ბულვართან დაკავშირებით. იქ არსებულმა ძეგლებმა ფერი იცვალა. ასევე მაინტერესებს, რა ხდება კიკვიძის ძეგლთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე ნათლად განვაცხადე, როგორც კი გამოცხადდება კიკვიძის სკვერის რეკონსტრუქცია, მაშინვე მოხდება კიკვიძის ძეგლის დემონტაჟი. პროექტის ნაწილშიც კი გათვალისწინებული იქნება კიკვიძის ძეგლის დემონტაჟი და იქ სხვა სივრცის მოწყობა. რადიო „თავისუფლებასთან“ მქონდა ინტერვიუ და იქ აღვნიშნე, რომ უნდა ვიმუშაოთ საბჭოთა სახელწოდების მქონე ქუჩების მიმართულებით. რაც შეეხება საბჭოთა სიმბოლიკას, იცით, რომ კონკრეტულ შენობებს აქვთ სხვადასხვა სტატუსი. მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. საქართველოს პარლამენტის შენობასაც ამშვენებს საბჭოთა სიმბოლიკა. ამაზე ალბათ, საერთო გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. რაც შეეხება ფალიაშვილის ქუჩას, მე ამ თემაზე დავსვამ შეკითხვას, რაც პასუხს გაგცემთ კითხვაზე აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაცია დასრულებულია თუ არა? “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ფალიაშვილის ქუჩისა და ბულვარის რეკონსტრუქცია ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში. რაც შეეხება საბჭოთა სიმბოლიკებს, ამ შენობებს მათი ხელისუფლების დროს მიენიჭათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. „მარაკანას“ სტადიონთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ შემსრულებელმა ვერ შეასრულა სამუშაო და ტენდერი გამოცხადდა თავიდან. შემსრულებელი დაჯარიმებულია. რაც შეეხება შადრევანს, პირველი ეტაპია მხოლოდ დაწყებული. ქალბატონ ანა კოხრეიძეს მინდა გავცე პასუხი. თუ მოქალაქეს სახლის სახურავი დაუზიანდა სტიქიის შედეგად, ან ეს მოქალაქე არის სოციალურად დაუცველი, ამ შემთხვევებში ხდება მისი დაფინანსება. ეს ნათლადა გაწერილი ბიუჯეტის პროექტში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე:** „მასალა რატომღაც დაიწუნა იმ მოქალაქემ, რომელზეც თქვენ საუბრობთ. სარეზერვო

ფონდიდან გამოიყო თანხა. საუბარი იყო ხის კოჭებისა და ხელოსნების თანხის ანაზღაურებაზე. ის რაც მერიის მიერ იყო გათვალისწინებული, ყველა ასპექტი დაკმაყოფილდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი“): „ბატონო იუზა, ბულვარის პროექტი დამტკიცებულია თუ არა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ბულვარის სამუშაოები და რეაბილიტაცია მიმდინარეობს ეტაპობრივად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი“): „თუ არის შესაძლებელი ქუთაისის ბულვარში დაიდგას ისეთი ჭადრაკის დაფა, როგორიც აქვს ბათუმის ბულვარს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო კობა, მაგ საკითხზე არაერთხელ ჰქონდათ კონსულტაცია ჩვენთან მოქალაქეებს და შესაბამისად გათვალისწინებულია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რატომ არის ორმოები ამ ქალაქში, რატომ ანათებს მხოლოდ ყოველი მე-10 ნათურა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ზოგჯერ სახლში 1-2 წელი გრძელდება რემონტი. ქალაქში ბევრი რამ კეთდება, მაგრამ სამწუხაროდ, ამის დანახვის სურვილი არ აქვს ბევრს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „თქვენ ამბობთ, რომ მთელი ქუთაისია გადათხრილი, ერთი ქუჩა დამისახელეთ მხოლოდ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი**: (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მაგალითად, ჭავჭავაძის გამზირზე, „გორგიას“ წინ.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-11 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტს მე-11 ნომრად დაემატა საკითხი: „ევროკავშირისა („EU“) და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის შექმნის მიზნით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „UNDP“ - საგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“; დღის წესრიგის პროექტის მე-8 საკითხის დასახელებაში სიტყვები: „უვადო სარგებლობაში გადაცემის“, შეიცვალა სიტყვებით: „სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაცემის“. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგის პროექტის მე-8 საკითხი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“) ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-11 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების,

ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის № 100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2022 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბატონი ბექა ქებულაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა
და სპორტის კომისიის თავმჯდომარე

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიო ჯელატოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური

სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

11. ევროკავშირისა (,,EU“) და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის შექმნის მიზნით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „UNDP“ - საგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

დღის წესრიგის პროექტის შესახებ, საკრებულოს წევრების მიერ, მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-11 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-11 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის 1- ელი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29**

დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში მითითებულ იქნა დადგენილების ამოქმედების დრო - 28 სექტემბერი. გამომდინარე აქედან, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 28 სექტემბრიდან.“; დადგენილების პროექტის მე-2 დანართში პროგრამის: „სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება“ ცხრილის მე-2 გრაფაში ჩაემატა პროგრამის ბიუჯეტის თანხა: „340.0“ ათასი ლარი)** ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დ.ნიშნიანიძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი“): „ძალიან კარგია, რომ ქალაქის ბიუჯეტი გაიზარდა. წარმოდგენილი ცვლილებით იზრდება ქალაქში გამწვანების პროგრამა და მცირდება საბინაო ფონდი. ძალიან ცუდი მდგომარეობაა ქალაქში ლიფტების მიმართულებით, ლიფტები არის ავარიულ მდგომარეობაში. ზოგადად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები საჭიროებენ ყურადღებას. თქვენ როგორ თვლით, პრიორიტეტული რომელია, ის ფაქტი, რომ საცხოვრებელ კორპუსებში რაიმე ექსცესი არ მოხდეს თუ სკვერებზე 400 ათასი ლარის დახარჯვა. ეს თავისთავად კარგია, მაგრამ პრიორიტეტული რომელია ამ ორს შორის?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დ.ნიშნიანიძე:** „ეს განპირობებულია ტენდერებში, დასრულებულ სამუშაოებში გაჩენილი ეკონომიებით. ეს ყოველწლიურად ხდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ეს არის სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხა. სამინისტრო რომ დააზუსტებს, რა თანხაზე დასრულდა სამუშაო, დარჩენილი სხვაობა თავად მიაქვს. რაც შეეხება სადარბაზოებს, დაიწყება ამ პროექტის განხორციელება. ეს არის შიგა რემონტები. ორშაბათს გამოვაცხადებთ ტენდერს და ვინც ჩარიცხავს ოქტომბრის ბოლომდე შესაბამის თანხას, თანადაფინანსების პრინციპით დაუფინანსდებათ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „ანუ, რაც იყო დაგეგმილი ლიფტების რეაბილიტაციის მიმართულებით ყველაფერი სრულდება და ეკონომია გაკეთდა სხვა მიმართულებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეკონომიაზე არ არის საუბარი ბატონო ირაკლი. რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხა რაც იყო გამოცხადებული ტენდერით, დარჩა ნაშთი და ეს ნაშთი მიაქვს ფონდს უკან."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ფონდი გვიფინანსებს პროექტს, ფულს კი არ გვაძლევს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი"): „პროექტის მე-12 პუნქტის (საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკური ზედამხედველობა) მიხედვით, ხარჯები იზრდება თუ არა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ჩვენ შესყიდული გვაქვს ეს მომსახურება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი"): „სხდომას ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი ესწრება. მინდა მას გადავცე საზოგადოების დადებითი განწყობა. სოციალურ საკითხთა მიმართულებით თუ არის საკმარისი თანხა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ბიუჯეტში გავზარდეთ წინასწარ 50 პროცენტით ეს მიმართულება წინა წელთან შედარებით. დღეს მოთხოვნა 60 პროცენტით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით. ეს გათვლილია ნოემბრის ჩათვლით. დეკემბრის თვეში უკვე გავცემთ საგარანტიოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ზოგადად მინდა ამ საკითხს შევეხო. დღგ-ს ნაწილში გაიზარდა ბიუჯეტი. ეს შესაბამისად აისახება ეკონომიკურ აქტივობაზე. ეს დაახლოებით 6 მლნ ნახევარია. საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხაა. ის პარამეტრები, რომელიც რეალურად 2022 წელს ეხება, არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ციფრი. ეს ციფრი ალბათ, წლის ბოლოს, 130 მილიონზე გავა. ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ციფრი. ჩვენ საბინაო ინფრასტრუქტურა გამოცხადებული გვქონდა პრიორიტეტულად. ამ ნაწილში თანხა აკლდება. თუ აკლდება, რატომ აკლდება მოსახლეობისათვის, რომ იყოს გასაგები. სადარბაზოების თანხას აკლდება, ვინაიდან განცხადებებს ველოდებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი“): „გეთანხმებით, რომ დღგ-ს ნაწილში გაზრდილია შემოსავლები, მაგრამ განგიმარტავთ ეს რის ხარჯზეა გაზრდილი. ლოჯისტიკა მსოფლიოში ძალიან გაძვირდა. გაძვირდა პროდუქტი, განსაბაჟებელი ტვირთი, საზღვრამდე მოსული X - ის ნაცვლად გახდა X+2. დღგ არ გაზრდილა ეკონომიკური აღმავლობის ხარჯზე. ის გაიზარდა მსოფლიო ბაზარზე შექმნილი ვითარების გამო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი**: „ზვიად გამსახურდიას გამზირის N30-ში, მოსახლეობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შიდა ფასადიდან ცვივა აგური. თუ გვაქვს ისეთი პროგრამა, რომ ეს ვითარება მოვაგვაროთ? “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ინფორმირებული ვარ ამ საკითხთან დაკავშირებით. ვინაიდან, საბინაო ფონდში ჩვენ ასეთი პუნქტი არ გვაქვს, ფასადი რადგან არის საფრთხის შემცველი,

შეგვიძლია დამატებითი ჩარევა მოვახდინოთ სარტყელის რეაბილიტაციის ნაწილში, ასევე სახურავის შეკეთების მიმართულებით. ეს ჩემი სამაჟორიტარო ოლქია. შესაბამისი ადმინისტრაციული წარმომადგენლობა აუცილებლად იმუშავებს ამ საკითხებზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „სადარბაზოების პროგრამას ერთი თეთრიც არ აკლდება. თუ მოთხოვნა შემოდის, ამას ვარეგულირებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ვაცხადებ, რომ ბიუჯეტის დამტკიცებისას ჩვენმა ფრაქციამ მხარი არ დაუჭირა ბიუჯეტის პროექტს. დღესაც, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებს მხარს არ დაუჭერს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, დ.ბახტაძე,. ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა საკრებულოს 10 - მა წევრმა: კ.გურულმა, გ.კილაძემ, კ.გაბუნიამ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ტ.მესხმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, **დ.ნიშნიანიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის **N44 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N44** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის № 100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი და 24-ე მუხლის პირველი პუნქტი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე,

მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი, დ.ბახტაძე,. ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 15 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 6 - მა წევრმა: კ.გურულმა, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, დ.ფხაკაძემ, ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის **N45 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის № 100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N45** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვისა და კენჭისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-11 სხდომაზე, გამოცხადდა **შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა 10 წუთით.**

შესვენების დასრულების შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-11 სხდომამ გააგრძელა მუშაობა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2022 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე ანგარიში წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ.ქებულაძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე გახლავართ ამ კომისიის წევრი. შემიძლია ვთქვა, რომ კომისიის საქმიანობა მიმდინარე მოწვევის პერიოდში ძალიან ნაყოფიერი იყო. მერიის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებასთან ერთად ჩვენ მოვახერხეთ ახალგაზრდობის სტრატეგიის დამტკიცება. ასევე მინდა აღვნიშნო ახალგაზრდული ინიციატივების პროგრამის შესახებ. ძალიან კარგი ნაბიჯი იყო რამდენიმე ბანაკის ორგანიზება არაფორმალური განათლების მიმართულებით. ვფიქრობ, კომისიამ საერთო ჯამში დადებითად იმუშავა და მინდა, რომ მადლობა გადავუხადო კომისიის თითოეულ წევრს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია

კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 6-მა წევრმა: გ.კილაძემ, ქ.ხურციძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, თ.მესხმა, დ.ფხაკაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ანგარიში 2022 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება N 117** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **ანგარიში** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ანუ, გაზრდამდე ჩვენ 7 მილიონ 200 ათასი ლარი გვქონდა ხომ? და ფაქტობრივი შესრულების ნაწილი როგორაა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ. ბერიშვილი:** „ამ ეტაპზე შესრულებულია 6 მილიონ 130 ათასი ლარი. „90 %-ით შესრულებულია ამ ეტაპზე გეგმა, რომელიც დავამტკიცეთ წლის დასაწყისში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „არსებობდა თუ არა იმ ქონებებზე ინტერესი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ. ბერიშვილი:** „რა თქმა უნდა, არსებობდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მუნიციპალიტეტმა თავისი ქონება, რომელიც შესაძლებელია საინტერესო გამხდარიყო ბიზნესისათვის, კონკრეტული ინიცირების გარეშე გამოიტანა აუქციონზე. დამატებით ინფორმირებას თუ მოახდენთ ამ ქონების შესახებ ბიზნეს წრეებში, კარგი იქნება. მინდა წარმატებები გისურვოთ. ქალბატონო თინათინ, თქვენ ბრძანდებით ახალი ხელმძღვანელი, წარმატებები თქვენ და თქვენს თითოეულ თანამშრომელს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ფრაზა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის N251 განკარგულების საფუძველზე“, შეიცვალა ფრაზით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N39 განკარგულების საფუძველზე“; განკარგულების პროექტის დანართის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ“; განკარგულების პროექტის დანართი გასწორდა რედაქციულად), ცვლილებით, წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 6-მა წევრმა: კ.გურულმა, გ.კილაძემ, ქ.ხურციძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის **N118 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი

თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება N 118** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა საკრებულოს 5-მა წევრმა: გ.კილაძემ, ქ.ხურციძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N 119** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტიდან ამოღებულ იქნა პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმისათვის ქონების (ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირის N21-ში არსებული ნახევარსარდაფი) დამატებას. განკარგულების პროექტიდან ამოღებულ იქნა აგრეთვე,ზემოაღნიშნული ქონების დამატების თაობაზე ამ პროექტის დანართიც),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 5-მა წევრმა: გ.კილაძემ, ქ.ხურციძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, თ.მესხმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის **N120 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N120** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

„მიო ჯელატოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი, 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში სიტყვა: „ქონების“ წინ, ჩაემატა სიტყვა: „უძრავი“; განკარგულების პროექტის სათაურიდან ამოღებულ იქნა ქონების მისამართი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული საკითხის თაობაზე, საკრებულოს წევრთა მიერ დაისვა შეკითხვები, რომელთა შესახებ გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმასენებელი“)**:** „რამდენი კვადრატია ეს ფართი, რომლის გადაცემასაც ვაპირებთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი:** „161 კვადრატი, რომლითაც ისარგებლებს. სკვერი კეთილმოწყობილია. პირდაპირი განკარგვის წესით ხდება გადაცემა. ამ ეტაპზე სარგებლობს მოსარგებლე ამ ხელშეკრულებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლ.შალამბერიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კონკურენციის პირობებში, გაიზრდებოდა თუ არა ფასი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „აუქციონი განსაზღვრავს ფასს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ქალაქს შეეძლო მეტი შემოსავალი მიეღო აუქციონის შემთხვევაში. აქ მთელი სკვერია და მას იყენებს უსასყიდლოდ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დ.ერემეიშვილი:** „იყენებს მხოლოდ 161 კვადრატს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კანონის შესაბამისად პირდაპირი განკარგვის წესით სკვერის 20 %-ის გადაცემაა შესაძლებელი. ბიზნესის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება იცით. ბიზნესი, რომელმაც გარკვეული ინვესტირება განახორციელა და 2 წლის განმავლობაში ფუნქციონირებს, დასაქმებული ჰყავს ადამიანები, ამიტომაც, კანონის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „ფიქრობთ თუ არა, რომ კონკურენციის პირობებში უფრო მეტ შემოსავალს მოუტანდა ქალაქს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „ეს ფაქტობრივად, ნაყინის ბიზნესია. ორწლიანმა თანამშრომლობამ რაც აჩვენა, მისაღებია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: საკრებულოს 6-მა წევრმა: კ.გურულმა, გ.კილაძემ, ქ.ხურციძემ, ლ.შალამბერიძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის **N121 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიო ჯელატოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N121** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისე-ბისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი, 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურიდან ამოღებულ იქნა ფრჩხილებში არსებული სიტყვა: „ცისტერნა“; განკარგულების**

პროექტის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში ჩაემატა სიტყვები: „მოძრავი ქონების“; აღნიშნული მუხლი გაიმართა რედაქციულად; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში სიტყვა: „უძრავი“, შეიცვალა სიტყვით: „მოძრავი“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული საკითხის თაობაზე დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელია: „კონკრეტულად რა ქონებას ეხება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი:** „ეს არის მანქანა, რომელიც საგრანტე კონკურსის ფარგლებში გადმოეცა მერიას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის **N122 განკარგულების** პროექტში.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N122** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-9 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი, 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის პირველი მუხლი გაიმართა რედაქციულად),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის **N123 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N123** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-10 საკითხის -**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი, 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის დასაწყისში ჩაემატა სიტყვა: „ქონების“; განკარგულების პროექტის დანართის ცხრილის მე-15 და მე-18 პუნქტების გასწვრივ, მე-6 გრაფაში ჩაემატა გარე განათების კონსტრუქციაზე წერტილების განთავსების ღერძის კოორდინატები**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე**: „აღნიშნულ შენობაში, სადაც „სილქნეტის“ ოფისია განთავსებული, რამდენიმე ორგანიზაციაც ფუნქციონირებს. შენობის იერსახე არის ძალიან ცუდი. ერთობლივი ძალებით იქნებ, გააკეთონ ამ ორგანიზაციებმა შენობის ფასადი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე,

კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თ.ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის **N124 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N124** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-11 საკითხის - **(„ევროკავშირისა („EU“) და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის შექმნის მიზნით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „UNDP“ - საგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი, 2022 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში სიტყვის: „კონკურსის“ შემდეგ, ჩაემატა სიტყვა: „ჩატარებული“. გამომდინარე აქედან, პროექტის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ევროკავშირისა („EU“) და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის შექმნის მიზნით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „UNDP“ - საგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, ხოლო, პროექტის პირველი მუხლი კი - შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ევროკავშირისა („EU“) და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის შექმნის მიზნით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „UNDP“-თან გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება და მიიღოს 225 000 (ორას ოცდახუთი ათასი) ევროს ექვივალენტი ლარში ოდენობის გრანტი“**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის- იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, **ი.გიორგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის **N125 განკარგულების** პროექტში.

(„ევროკავშირისა („EU“) და გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის შექმნის მიზნით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „UNDP“ - საგან გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N125** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.ჩიხლაძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „განცხადებები, რომლითაც ვიწყებთ სხდომას, ხომ შეიძლება სხდომის ბოლოს გადმოვიტანოთ. დღის წესრიგის საკითხების განხილვის შემდეგ. ეს ეხება პოზიციასაც და ოპოზიციასაც. აქ წარმოთქვამენ წინადადებებს, შექმნიან მძიმე აურას და მიდიან შინ ბედნიერები. ვის რამდენი აქვს ხელფასი, ამაზე დავა უხერხულია იგივე ამომრჩევლის წინაშე. დღეს წარმატებული ექიმის ხელფასი, დაუღალავი შრომის პირობებში, 20 ათას ლარს აჭარბებს. მე ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ აქ ირაკლი შენგელია და მაგდა კოსტავაა, ნებისმიერ თქვენგანს შეგიძლიათ 4 - ჯერ და 5-ჯერ მეტი ხელფასი გქონდეთ და არავის საკითხავი ეს არ არის. ცოტა უხერხულია. ამიტომაც დავსვათ ეს საკითხი და განცხადებები გავაკეთოთ დღის წესრიგის საკითხების განხილვის შემდეგ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აბსოლუტურად ლოგიკურია თქვენი განცხადება. სწორედ ასეა

განმარტებული საკრებულოს რეგლამენტში, რომ მსგავსი ტიპის განცხადებები უნდა გაკეთდეს დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ. უბრალოდ განცხადების გაკეთება სურს დეპუტატს და ამას ვერ შევზღუდავ. ეს პასუხისმგებლობის საკითხია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ქალბატონი ანა, რომელსაც ვგულშევმატკივრობდი როგორც მსახიობს, ჯერ კიდევ ბევრი წლის წინ. მე თუ ვიქნები მაჟორიტარი, ეს ჩემი პასუხისმგებლობაა, რომ დავიხარჯო ბოლომდე. როდესაც არ მქონდა სამსახურიდან დრო და არ მეკავა თანამდებობა, არ ვმუშაობდი საჯარო სამსახურში. იტყვის საკუთარ მოსაზრებას და შემდეგ ტოვებს დარბაზს, მოდი ჩვენც ასე მოვიქცეთ, ჩვენც გავალთ დარბაზიდან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „უხერხულია იმ კოლეგაზე საუბარი, როდესაც ის არ ესწრება სხდომას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.ჩიხლაძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ჩვენ პირდაპირ ეთერში ვართ ჩართული. არავინ გამილანძღავს და შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. თავად დატოვა დარბაზი და პასუხები არ მოისმინა. ბატონ ირაკლის ვთხოვე, რომ თუ კანონმდებლობა გვაძლევს საშუალებას, მსგავსი ტიპის განცხადებები გადავიტანოთ საკრებულოს დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ.“

მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბ ,,LLL“-ის პრეზიდენტი, პუბლიცისტი, ქუთაისში „ტორპედოს“ სტადიონთან „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტის ავტორი, ბატონი **ბ.ადამია:** „მოგესალმებით. მე ვარ ბესიკ ადამია, ჩემთვის დიდი პატივია საკრებულოს სხდომაზე გამოსვლა, განსაკუთრებით, აკ.წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში, იგივე ცოდნის ტაძარში. მოგახსენებთ, რომ ჩემი საავტორო ,,მშვიდობის ბურთის“ მონუმენტი წინა საკრებულოს პოზიციისა და ოპოზიციის 100%-ით თანხმობისა და ქუთაისის მერიის მხარდაჭერით დაიდგა. რამდენიმე დღის წინ, ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა მიღებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ბატონები: დავით ერემეიშვილი და იუზა უგულავა, მივიღე დაპირება ,,ტორპედოს“ სტადიონის რეაბილიტაციის პარალელურად, გაისად განახლდება იქვე ხორავას ქუჩის 2, 3 და 4 სართულიანი საცხოვრებელი ბინების ფასადები, გადაიღებება ,,მშვიდობის ბურთის“ მონუმენტი, რისთვისაც საკრებულოსა და მერიას ჩვენი უბნის მოსახლეობის სახელით გიხდით მადლობას. ისე კი, 4 წელია დგას ეს მონუმენტი და სამწუხაროდ, არ გვსტუმრობს თბილისი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩვენი ქუთათურები, ჩვენი ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობა ჩემ გვერდით დგას ამ საკითხებში. მადლობასთან ერთად მაქვს რამდენიმე თხოვნაც. მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი მეზობლის, გრიგოლ მანაგაძის საინტერესო იდეა, კერძოდ: ამ მონუმენტის უკან, ლათინური ანბანით ტორპედოს პირველი ასოს „T-ს“ მსგავს სადგარზე წარმოჩნდეს საქართველოს, გაეროსა და ევროკავშირის დროშები, რაც დაამშვენებს ქუთაისსა და „ტორპედოს“ სტადიონის უბანს. აქ, სხდომაზე ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ საკრებულომ, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ იოსებ ხახალეიშვილს მისცა თანხმობა 225 000 ათას ევროს განკარგვაზე, რომელიც გაეროს განვითარების ფონდმა (UNDP) გამოყო, კარგი იქნება ამ თანხიდან მცირედი თუ ამ დროშების წარმოჩენას მოხმარდება. ასევე მინდა წარმოგიდგინოთ ეკოლოგიის მხარდამჭერი საინტერესო ნიშანი, ჟანგბადის ფორმულა „02“ - ში მოთავსებული ფოთოლი, რომელიც თავად არის ჟანგბადის გენერატორი. ასეთი ნიშანი ვაჩუქე ქალაქის მერს, ბატონ იოსებს, გავუგზავნე პრეზიდენტსა და პრემიერს, გავაგზავნე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომელიც მოუხდება ქუთაისში მწვანე საფარს. მინდა სწორად გამიგოთ, ვარ საქპატენტში დეპონირებული 40–მდე მოწმობის ავტორი და რაზეც ვფიქრობ და რასაც ვაკეთებ, მხოლოდ ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, რომ ის საინტერესოდ წარმოჩნდეს. ასევე მაქვს საინტერესო იდეა: აქვე ახლოს, რკინიგზის სადგურის შენობის თავსა და ბოლოში ელმავლის ფორმის ფიგურის მიშენება. როგორც ტურისტის, ასევე, ჩვენი მოქალაქეების თვალში, ეს შენობა წარმოჩნდება თითქოს როგორც ბაქანზე ჩამომდგარი მატარებელი, ანუ, „სადგური მატარებელი“.

ბოლოს კი, რეზიუმეს სახით, ჩემო მეგობრებო, ჩვენო ტელემაყურებლებო, ტელეკომპანია „რიონის“ წყალობით, პირდაპირ ეთერში გავდივარ და მინდა გულწრფელად

გითხრათ, რომ 21 სექტემბერს მსოფლიო მშვიდობის დღეს, „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტთან ჩატარდა აქცია, რომელსაც ესწრებოდა მოსახლეობა და №25 საჯარო ბაღის ბავშვები. მინდა გადმოგცეთ ჩემი აზრი, სხვათა შორის, მახსენდება საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას საინტერესო გამოსვლა ქალაქის ცენტრში. ახალი 2022 წელი დგებოდა, თავად ვესწრებოდი და ჩაწერილიც მაქვს, ის თანაქალაქელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს ჩაეხუტა, როგორც თავის შვილებს და მშვიდობა და სიკეთე უსურვა მომავალ თაობას. „მშვიდობის ბურთის“ მონუმენტთან და მშვიდობის თემატიკასთან ჩემი დამოკიდებულება მდგომარეობს შემდეგში, როგორც გერმანია გაერთიანდა ტყვიის გასროლის გარეშე, მინდა ისე გაერთიანდეს საქართველოც. მძაფრი იყოს სამშვიდობო იდეოლოგია ჩვენს მომავალ თაობაში, არ იყოს აგრესია და მომავალში, ჩვენმა გაზრდილმა შვილებმა, შვილიშვილებმა, ძმისშვილებმა, ნათლულებმა და ასე შემდეგ, იცხოვრონ და პრობლემები გადაწყვიტონ მშვიდობიან გარემოში. ბოდიში შედარებისათვის, აი, მაგალითად დავუშვათ, რუსების ფაქტორი დიდია და გვითხრან კულისებში, აბა მიაწექით და აიღეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. ეს საკითხი რომ დადგეს, მე რომ ხელმძღვანელი ვიყო და ასეც მწამს, ქართული საზოგადოება დააყენებდა როგორ გადაწყდეს საკითხი, მშვიდობიანად თუ ძალით, ეს იქნებოდა და იქნება გადაწყვეტილება მხოლოდ მშვიდობიანად.

და ბოლოს, წინა საკრებულოს წევრი იყო ნაციონალი ბესარიონ ბრეგაძე, რომელიც მეტად აქტიურობდა, უკაცრავად, აქ დამსწრე ოპოზიციასთან. საინტერესო პათოსით გამოვიდა ქალბატონი ანა (სამწუხაროდ დაგვტოვა) საინტერესო მაჟორიტარი გვყოლია და დღემდე არ ვიცნობდი მას, კარგი იქნებოდა ის ჩვენს უბანშიც მოსულიყო სტუმრად.

ბოლოს, ვასრულებ ჩემს გამოსვლას, ბოლო წინადადებაა. თუ იქნება შესაძლებელი, მე არ ვთხოულობ თანამდებობას, ბატონო ირაკლი, არ ვთხოულობ არც შტატს, არც ფულს, არც არაფერს მსგავს, თუ შემიძლია მქონდეს რწმუნება თქვენგან, რომ ვიყო ქუთაისის, ჩემი მშობლიური ქალაქის წარმომადგენელი სამშვიდობო საკითხებში გარე სამყაროსთან, თუ შეიძლება მომავალში, საკრებულოს სხდომაზე განიხილოთ ეს საკითხი და რწმუნება მქონდეს თქვენგან ამ კუთხით. მეგობრებო, დიდი მადლობა, გეფერებით, მშვიდობასა და წარმატებებს გისურვებთ ყველას. მადლობა ყურადღებისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-11 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრების, მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულებისა და სხდომაზე დამსწრე მოქალაქის მიერ გაკეთებული განცხადების მოსმენის შემდეგ, საკრებულოს მე-11 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-11 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 12:01:17 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.